]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 779
28/03/2019

779-01-4-201903280939

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ფარგლებში, მრავალშვილიანი ოჯახების მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღებისათვის ხელშემწყობი კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში, გამარჯვებული პროექტების გამოვლენის მიზნით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, დროებითი კომისიის მიერ გამოვლენილი საუკეთესო პროექტის თანადაფინანსების შ ე ს ა ხ ე ბ

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №74 დადგენილებით გათვალისწინებული მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ფარგლებში, მრავალშვილიანი ოჯახების მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღებისათვის ხელშემწყობი კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის გამოცხადების, კომისიის შექმნისა და გამარჯვებული პროექტების გამოვლენის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 27 თებერვლის №345 ბრძანებით შეიქმნა დროებითი საკონკურსო კომისია, დამტკიცდა მისი დებულება, კონკურსის პროგრამა და პირობები. საკონკურსო პროცედურების განხორციელების დაცვით, კომისიის მიერ მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ფარგლებში, მრავალშვილიანი ოჯახების მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღებისათვის ხელშემწყობი კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში განხილულ იქნა ერთი დაინტერესებული პირის, კერძოდ ა(ა)იპ ,,მეწარმე ქალთა ფონდის" თავმჯდომარის მერი გელაშვილის მიერ წარმოდგენილი პროექტი - ,,ქუთაისში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერება". შეფასების დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, კომისიის გადაწყვეტილებით, ზემოაღნიშნული პროექტი გამოვლინდა გამარჯვებულად (2019 წლის 12 მარტის №1 ოქმი; 2019 წლის 15 მარტის №2 ოქმი) და მიეცა რეკომენდაცია თანადაფინანსების გაცემის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე" და ,,გ.ა" ქვეპუნქტების, 89-ე მუხლის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №74 დადგენილებისა და ქ.ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების და მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების, არსებულის გაფართოება - გადაიარაღებისათვის ხელშემწყობი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების დროებითი

საკონკურსო კომისიის სხდომის 2019 წლის 12 მარტის №1 და 2019 წლის 15 მარტის №2 ოქმების საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ** :

1.მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ფარგლებში, მრავალშვილიანი ოჯახების მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღებისათვის ხელშემწყობი კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში, გამარჯვებულად გამოცხადდეს ა(ა)იპ ,,მეწარმე ქალთა ფონდის" თავმჯდომარის მერი გელაშვილის მიერ წარმოდგენილი პროექტი - ,,ქუთაისში მცხოვრებ მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერება" და მოხდეს მისი თანადაფინანსება უფლებამოსილი სამსახურის მიერ განსაზღვრული ოდენობით.

2.დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს სოციალურ საკითხთა სამსახურს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ფარგლებში, მრავალშვილიანი ოჯახების მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღებისათვის ხელშემწყობი კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში, პროგრამის მოთხოვნათა გათვალისწინებით მოამზადოს და წარმოადგინოს შესაბამისი მემორანდუმის პროექტი.

3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /მის.: ვ.კუპრაძის ქუჩა №11/ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5.ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი